ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3484470

ნომერი: AR1533697

თარიღი : 18.08.2017

გაცემის თარიღი : 21.08.2017

გაცნობის თარიღი : 21.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შაქრო ბაკურაძე პ/ნ 01012014846
- თბილისი, კრწანისის 47

ორგანიზაცია:
- იფქლი კოდი: 200179118

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 24 ივნისის №552 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 18 აგვისტოს №AR1533697 განცხადებით მომართა შაქრო ბაკურაძემ (თანაგამცხადებელი: არისი ბოჭოიძე) და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 24 ივნისის №552 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 24 ივნისს დამტკიცდა N552 ქალაქთმშენებლობითი პირობები მიწის ნაკვეთისთვის საკადასტრო კოდით N72.14.34.467 (ფართობი 3600 კვ.მ.) სავაჭრო–საყოფაცხოვრებო შენობის ფუნქციით, დამკვეთი–მენაშენე: შპს: ,,პეანი"–ს განაცხადის საფუძველზე განაშენიანების მაღალი ინტესნივობის საზოგადოებრივ–საქმიანი (შერეული) ზონის (სსზ) –ის პარამეტრებით კ–1=0.8, კ–2=4.
სამსახურში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე განმცხადებელი ითხოვს მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილების გამო (ფართობის და საკადასტრო კოდის უცვლელად) 2008 წლის 24 ივნისის №552 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 24 ივნისის №552 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 24 ივნისის №552 ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საკადასტრო კოდით: N01.72.14.034.467; ფართობი დაფიქსირდეს 3600 კვ.მ. სარეგისტრაციო ნომერი N882017255308; მომზადების თარიღი: 03/04/2017
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 24 ივნისის №552 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.